

შპს „სანი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია.

„სანი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 27.04.2004წ ს/ნ 205027754. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №14ა, ფაქტიური მისმართი ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №14ა კომპანიის დამფუძნებლები არიან : თეიმურაზ ბახსოლიანი-30%, მალხაზ ბახსოლიანი -50%, ზურაბ ბახსოლიანი -20%; კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მის აღებიდან ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიას სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არ გააჩნია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, **საგადასახადო** მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20-პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20- პროცენტი

სატრანსპორტო საშუალება 20 პროცენტი, შენობა-ნაგებობები 5-პროცენტი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც, ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება **საგადასახადო** მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არმოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის

შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში საგადასახადო მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არა რის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. კომპანიას ბანკის ოვერდრაფტი და სესხები არ გააჩნია.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებსიდიდემდე.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1048.00	24269.00	1489.00
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	44.00	44.00	44.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0.00	0.00	0.00
დეპოზიტი აშშ დოლარის ანგარიშზე	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/ევრო	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/რუბლი	0.00	0.00	0.00
ბარათი აშშ დოლარი	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში /ბრიტანული გირვანქა	0.00	0.00	0.00
სულ	1.092.00	24.313.00	1.533

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	395.074	412.611	1.044.758

საექვო მოთხოვნების რეზერვი	(0.00)	(0.00)	0.00 (0.00)
სულ 1410	395.074	412.611	1.044.758

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
კომპანიას გადასახდელი ავანსები არ გააჩნია.

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0.00	0.00	0.00
სულ	0.00	0.00	0.00

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
ნედლეული და მასალები	270,216	321.681	1.055.766
სხვა საწარმოო მარაგი	0.00	0.00	0.00
სულ	270,216	321.681	1.055.766

სულ

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არის 321.681 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრისათვის არის 270,216 ლარი.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
კომპანიას სხვა წინასწარი გადახდილი ხარჯები (დაზღვევა) არ გააჩნია.

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ.2019
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები (დაზღვევა)	0.00	0.00	0.00
სულ	0.00	0.00	0.00

9. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ.2019
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	347	(2.372)	(76.273)
სულ	347	(2.372)	(76.273)

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ.2019
პროგრამული უზრუნველყოფა	0.00	0.00	0.00
სულ	0.00	0.00	0.00
დაგროვილი ცვეთა	(1.557.093)	(1.444.973)	(1.306.599)
სულ	(1.557.093)	(1,444.973)	(1.306.599)
საბალანსო ღირებულება	(2.469.135)	(2,525.135)	(2,525,135)

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობები 2130/2140	მანქანა- დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვი ლობა 2160- 2170,2190	სატრანსპორტო საშუალებები 2180	სულ აქტივები
თვითღირებულება					
01.01.2019	683,773	865,186	23.649	952.527	2,525,135
შემოსვლა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გასვლა/ჩამოწერა					-
31.12.2019	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
შემოსვლა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გასვლა/ჩამოწერა		-	-		-
31.12.2020	56.000	0.00	0.00	0.00	56.000
დაგროვილი ცვეთა					
01.01.2019	(109.738)	(707.861)	(19.267)	(469.731)	(1.306.599)
პერიოდის ცვეთა	(9.473)	(31.464)	(876)	(96.559)	(138.374)
გასვლა/ჩამოწერა				-	-
31.12.2019	(119.212)	(739.326)	(20.143)	(566.291)	(1.444.973)
პერიოდის ცვეთა	(9,000)	(25,172)	(701)	(77,247)	(112,120)
გასვლა/ჩამოწერა					-
31.12.2020	(128.212)	(764.498)	(20.845)	(643.538)	(1.557.093)
საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 01.01.2019	683,773	865.186	23.649	952.527	2,525.135
ბალანსი 31.12.2019	683,773	865.186	23.649	952.527	2,525.135
ბალანსი 31.12.2020	627,773	865.186	23.649	952.527	2,469,135

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	250,752	268.262	1.602.574
მიღებული ავანსები	0.00	0.00	0.00
ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
სულ 3110	250,752	268.262	1.602.574

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	98.869	127.548	215.232
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
სულ	98.869	127.548	215.232

14. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები კომპანიას არ აქვს

15. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება-გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება - გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის კომპანიას არ აქვს.

16. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების დარიცხვის აუცილებლობა კომპანიას არ წარმოშობია.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	01 იანვ. 2019
დამფუძნებლების კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	833,334	1,040.321	1,646.488
სულ	833,334	1,040.321	1,646.488

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2004 წლის 27 აპრილს.

2019 წელს შპს „სანი“-მ დივიდენდი გამოაცხადა 0.00 ლარი.

0.00-დამფუძნებლის მიერ შემოტანილი თანხის უკან დაბრუნება

18. ამონაგები

ამონაგები 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	934.552	1.436.130
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	0.00	0.00
სულ	934.552	2.436.130

19. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	98.869	127.548
სულ	98.869	127.548

20. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(112.120)	(143.882)
სულ	(112.120)	(143.882)

21. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
კომპანიას საპროცენტო ხარჯები არ გააჩნია.

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	0.00	(0.00)
სულ	0.00	(0.00)

22. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება

წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
იჯარა	(0.00)	(0.00)
ოფისის იჯარა	(2.400)	(2.400)
სულ	(2.400)	(2.400)

23. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
კომუნიკაციის ხარჯი	(0.00)	(0.00)
კომუნალური ხარჯები	(0.00)	(0.00)
სხვა მიწოდების ხარჯები	(0.00)	(0.00)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(0.00)	(0.00)
სხვა საგადასახადო ხარჯი (მიწის გადასახადი და ქონების გადასახადი)	(12.248)	(15,383)
ოფისის ხარჯები	(0.00)	(0.00)
დაზღვევა	(0.00)	(0.00)
არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი	(0.00)	(0.00)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(870)	(944)
შეძენილი მასალების ხარჯი	(818.446)	(1.671.467)
შენობის იჯარის ხარჯი	(2.400)	(2.400)
აეროპორტების მომსახ. ხარჯი	(0.00)	(0.00)
საფოსტო ხარჯი	(0.00)	(0.00)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(0.00)	(0.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(0.00)	(0.00)
საფრენოსნო ინფ. დამუშავების ხარჯი	(0.00)	(0.00)
პერსონალის ტრენინგის ხარჯი	(0.00)	(0.00)
სიტა-ს ხარჯი	(0.00)	(0.00)
პერსონალის სამედიცინო მომსახ. ხარჯი	(0.00)	(0.00)
კომპიუტერული მომსახ. ხარჯი	(0.00)	(0.00)
მანქანების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(0.00)	(0.00)
ნაწილების მოძიების საიტის მომსახურება/ნავიგაციის გაცემული ხელფასის ხარჯი	(98.869)	(127.548)
ცვეთის ხარჯები	(112.120)	(143.882)
სხვა საწარმოო ხარჯი	(109,400)	(81.723)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(0.00)	(0.00)
სულ	(1.153,483)	(2.043.347)

24 . წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2019 და 2020

წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:
კომპანიას დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან არ გააჩნია.

	2020	2019
დადებითი საკურსო სხვაობა	0.00	0.00
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(0.00)	(0.00)
სულ	0.00	0.00

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები
ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ
პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება
დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2020 წლის 31 იანვარს.

ფორმა#1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა			
	საანგარიშგე ზო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგე ზო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგე ზო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1.048	24.313	1.533
სავაჭრო მოთხოვნები	395.074	412.611	1.044.758
გადახდილი ავანსები	0	0	0
მარაგები	270,216	321.681	1.055.766
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	270,216	321.681	1.055.766
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1.156	0	0
ძირითადი საშუალებები	1.045,482	1.201.208	1.345.091
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1.712,976	1.959.813	3.447.148

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	250,752	268.262	1.602.574

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	628.543	623.799	87.766
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0.00	25.059	34.047
საგადასახადო ვალდებულებები	347	2.372	-76.273
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	879,642	919.492	1.800.660

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	833,334	1.040.321	1.646.488
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	833,334	1.040.321	1.1.646.488
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1.712,976	1.959.813	3.447.148

ფორმა#2 კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	934.552	1.436.130
საქონლის გაყიდვიდან	923,806	1.377.105
მომსახურების გაწევიდან	10,746	59.025
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-818,446	-1.672972
საწყისი მარაგები	-321.681	-1055766
მარაგების შესყიდვა	-766.983	-938.887
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები	270.216	321.681
საერთო მოგება	116,106	-236.842
სხვა შემოსავალი		0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-98.869	127.548
ცვეთა და ამორტიზაცია	-112.120	-143.882
საპროცენტო შემოსავალი:		0
საპროცენტო ხარჯი :		0
იჯარის ხარჯი	-2.400	-2.400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-121,648	-96.545
სულ საოპერაციო ხარჯები	-335,037	-370.375
საოპერაციო მოგება	-218,931	-607.217

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0

მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-218.931	-607.217
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-218.913	-607.217
სხვა სრული შემოსავალი /(ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-218,931	-607,217
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,040,321	1,646,486
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილება	11,944	1,050
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	833,334	1,040,321

ფორმა #3 კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-23.205	22.780
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-23.265	22.780
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	24.313	1.533
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1.048	24.313